Maia Nadare
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
Founder and CEO, BRAMS Institute

A Photo Mess-Up

(Abstract)

KEYWORDS: WWII, Victory Flag, Meliton Kantaria, Mikheil Egotov, Eugene Khaldey, Photography, War Journalism, Battle of Berlin

In March 1854, the British government made its first official attempts at war photography during the Crimean War. The initiative attracted considerable public interest in photographs taken during combat. Over time, many images have commemorated the Second World War, particularly the Battle of Berlin, one of the most intense engagements of the conflict. This article addresses several misunderstandings surrounding a controversial photograph and seeks to clarify the historical record using documentary evidence.

In May 1945, the Soviet government announced that the state flag raised at the Reichstag by Mikheil Egorov and Meliton Kantaria represented the Flag of Victory. However, the iconic image associated with that episode is often attributed to staging by the war photographer Yevgeny Khaldey. Khaldey obtained three ordinary red flags made from tablecloths from a Moscow canteen, brought them to Berlin, and asked soldiers near the Reichstag to participate in a photoshoot using one of these flags.

Given the influence of widely circulated staged photographs, public understanding remains uneven. Many accounts continue to suggest that, on 2 May 1945, the official

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Victory Flag flew over the Reichstag. In fact, around forty red flags were already displayed on the building at the time of the capitulation. The work of several Soviet photojournalists produced dozens of photographs in which different soldiers posed with different flags in separate locations on the Reichstag. Together, these images have tended to obscure the context associated with the Victory Flag, which symbolises the storming of the Reichstag and the defeat of Nazi Germany.

After the Battle of Berlin, the British observed the Reichstag while it bore flags in a variety of shapes and colours as they assumed control of the area from the Soviet forces. By then, Soviet authorities had removed the Victory Flag raised by Egorov and Kantaria from the Reichstag and sent it to Moscow. Consequently, it is difficult to treat the Allies as eyewitnesses to the display of the Victory Flag on 1 or 2 May 1945.

As Viktor Saprikov suggests, "Those photos merely mimicked the Victory Flag. It was raised during the nighttime battle, when no photographers were present at the Reichstag. The cameras of that era could not capture images in complete darkness. Most WWII photojournalists took their photographs during the day. Photographers such as Ivan Shagin, Viktor Tyomin, Alexander Kapustyansky, Yakov Rumkin, and Yevgeny Khaldey improvised and staged scenes that aligned with their artistic vision. Such false victory flags provide no insight into the actual location of the true Victory Flag or the heroes who achieved this historic feat of global significance."

Documentary evidence indicates that the state flag attached to the dome of the Reichstag by Egorov and Kantaria corresponds to the Victory Flag. By contrast, the famous photograph staged by Khaldey can be referred to as the Red Flag on the Reichstag. The two images therefore have distinct purposes and significance: one illustrates an act of extraordinary bravery, while the other is best seen as a masterpiece of photographic composition.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მაია ნადარეიშვილი
https://orcid.org/0000-0002-3270-0728
დამფუძნებელი და დირექტორი,
ბრამსის ინსტიტუტი

ფოტოდომხალი

საკვანძო სიტყვები: მეორე მსოფლიო ომი, გამარჯვების დროშა, მელიტონ ქანთარია, მიხეილ ეგოროვი, ევგენი ხალდეი, ფოტოგრაფია, სამხედრო ჟურნალისტიკა, ბერლინის ბრძოლა

ფოტოფირზე მსოფლიოში პირველად ყირიმის ომი (1853-1856) აღბეჭდეს. მას შემდეგ ყოველთვის დიდი ინტერესით სარგებლობდა საომარ სიტუაციებში გადაღებული მასალები. ცხადია, XX საუკუნის ყველაზე მასშტაბური სამხედრო კონფლიქტიც არ იყო გამონაკლისი. ფრონტის ხაზზე მომუშავე ფოტოკორესპონდენტების უმეტესობა მეომრებზე არანაკლებად მამაცი ადამიანი იყო. მათ გამბედაობას კონკურენციაც აძლიერებდა.

მრავლად მოიპოვება მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლის, მითუმეტეს, XX საუკუნის ერთ-ერთი სისხლისმღვრელი ბრძოლებით აღსავსე მომენტის – რაიხსტაგის აღების ამსახველი კადრები. გამოკვლევის მიზანია ერთი ფოტოგაუგებრობის გამომწვევი მიზეზების გარკვევა და სიმართლის დოკუმენტირებულად დადგენა.

საბჭოთა ხელისუფლებამ გამარჯვების დროშად მიხეილ ეგოროვისა და მელიტონ ქანთარიას მიერ რაიხსტაგზე აღმართული სახელმწიფო დროშა გამოაცხადა.[1] თუმცა, ამ ისტორიული მნიშვნელობის ფაქტის სიმბოლურ კადრად სულ სხვა მეომრების შესრულებით დრო-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შის აღმართვის იმპროვიზირებული სცენა გადაიქცა, რომლის დროსაც სამხედრო ფოტოკორესპონდენტმა ევგენი ხალდეიმ სასადილო მაგიდის წითელი გადასაფარებლისგან სახელდახელოდ შეკერილი, მის მიერვე მებრძოლებისთვის ჩამოტანილი დროშა გამოიყენა.

ვ. ნ. საპრიკოვი მიიჩნევს, რომ დადგმული ფოტოების ნახვის ზეგავლენით, საფუძვლიანად იბნევა აუდიტორია. თუ 2 მაისს №5 დროშა ფრიალებდა რაიხსტაგის თავზე, სამხედრო ფოტოკორესპონდენტების წყალობითა და მეომართა ინდივიდუალური მონდომების შედეგად, კაპიტულაციის მომენტში ორმოციოდე წითელი დროშა ამშვენებდა რაიხსტაგის შენობას. ცხადია, ამის ამსახველი კადრები შტურმისა და გამარჯვების სიმბოლოდ აღიარებული დროშის რეალურ ამბავს აბუნდოვანებს.

არც მოკავშირეები გამოდგებიან მოწმეებად, რადგან მათ 1 და 2 მაისის რაიხსტაგი არ უნახავთ. ინგლისელებმა ბრძოლების შემდეგ სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის დროშებით დახუნძლული შენობა ჩაიბარეს, რომლიდანაც ეგოროვისა და ქანთარიას მიერ აღმართული გამარჯვების დროშა უკვე ჩამოხსნილი იყო. საპრიკოვი სამართლიანად აღნიშნავს: „ეს ფოტოები მხოლოდ იმიტირებდნენ გამარჯვების დროშას. როდესაც იგი აღმართეს, ღამის ბრძოლის დროს, რაიხსტაგში არცერთი ფოტოკორესპონდენტი არ იყო. მაშინდელი ფოტოაპარატურაც ღამით კადრის გადაღების საშუალებას არ იძლეოდა. ყველა ფართოდგავრცელებული ფოტო დღისითაა გადაღებული“.[22] ივანე შაგინი, ვიქტორ ტიომინი, ალექსანდრე კაპუსტიანსკი, იაკობ რუმკინი, ევგენი ხალდეი და სხვა კორესპონდენტები ეფექტური ფოტოების გადაღებისთვის თავადვე იგონებდნენ კადრებს. „მსგავსი „გამარჯვების ბაირაღები“, ბუნებრივია, წარმოდგენას არ იძლევა ნამდვილ გამარჯვების დროშაზე, მისი აღმართვის ადგილსა

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

და მეომრებზე, ვინც მსოფლიო დონის ისტორიული აქტი აღასრულა“.[23]

1. დრონების ეპოქამდე

რაიხსტაგის შტურმის შემდეგ შენობის პირველი ფოტოები გაზეთ „პრავდის“ თანამშრომელმა ვიქტორ ტიომინმა გადაიღო.[13] რადგან 30 აპრილს ხმა გავრცელდა, გუმბათზე საბჭოთა დროშა ფრიალებსო, მისი გადაღების სურვილმა ფოტოგრაფს სარისკო ნაბიჯი გადაადგმევინა. ეფექტური კადრი რომ გამოსვლოდა, იგი მფრინავს შეუთანხმდა და 1 მაისს, როცა ჯერ კიდევ გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა როგორც რაიხსტაგში, ისე მის გარშემო, შუა ბერლინში აფრინდა ეფექტური ფოტოების მოპოვების მიზნით. ალმოდებულ შენობას პილოტმა ერთი წრე დაარტყა მხოლოდ. ტყვიებისა და აფეთქებების გამო უფრო ხანგრძლივად რაიხსტაგის თავზე გაჩერება შეუძლებელი იყო. მეორე წრეზე წასვლა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ტიომინმა ბევრი ხარისხიანი კადრის გადაღება მოასწრო და მონაპოვრით დაკმაყოფილდა.

ფოტოკორესპონდენტის სითავხედემდე ასული სითამამე ამით არ დამთავრებულა. აეროდრომზე დაშვებისთანავე, ტიომინმა რაღაც სასწაულით დაითანხმა პილოტები ვ. ლემეშკინი, კ. მოსკალენკო და ი. ვეშტაკი[10] და „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი მოსკოვში ისე გადაფრინდა ჟუკოვის პირადი თვითმფრინავით, მარშლისთვის უფლებაც არ უთხოვია. იგი ფირის სასწრაფოდ რედაქციაში მიტანაზე ფიქრობდა მხოლოდ და სხვა არაფერი ადარდებდა. პილოტები ხუმრობდნენ, ტიომინმა ჟუკოვის თვითმფრინავი გაიტაცაო.[20]

არ შემცდარა გამოცდილი ფოტოკორესპონდენტი. გაზეთის რედაქციამ ფირი გაამჟღავნა და ყველა მნახვე-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლი აღაფრთოვანა უნიკალურმა, ეფექტურმა კადრებმა. თუმცა, მხოლოდ იმ მომენტში გაირკვა, რომ რაიხსტაგის გუმბათზე დროშა არ ჩანდა. არადა, თვითმფრინავიდან ტიომინმა საკუთარი თვალით დაინახა შენობის სხვადასხვა კუთხეში მოფრიალე რამდენიმე ათეული დროშა. თავის საუკეთესო ფოტოკორესპონდენტს რედაქცია სიტყვაზე ენდო. თანაც, მთელ მსოფლიოს უკვე მოსდებოდა რაიხსტაგზე აღმართული დროშის ამბავი. იფიქრეს: „ჯერ თუ იქ არ იყო, ეს მაინც მალე მოხდებოდა“.[20] ფოტოზე დროშის დამატება გადაწყდა, მაგრამ მთავარ რედაქტორს ის ადგილები არაეფექტური მოეჩვენა, სადაც ტიომინი უთითებდა მის მიერ თვითმფრინავიდან დანახული დროშების მდებარეობას. არც ის იცოდნენ, მათ შორის რომელი იყო მთავარი. უფროსის აზრით, გამარჯვების დროშას მხოლოდ გუმბათი შეეფერებოდა და რეტუშის გამკეთებელს შესაბამისი ინსტრუქცია მისცა. აქ კიდევ ერთი შეუსაბამობა მოხდა: რაიხსტაგის თვალითუნახავ გაზეთის ტექნიკურ თანამშრომელს მასშტაბი შეეშალა და მის მიერ ჩახატული დროშა არაპროპორციული, რეალურზე ორ-სამჯერ უფრო დიდი ზომის გამოვიდა.

3 მაისს ფოტოკორესპონდენტი მარშალ ჟუკოვის იმავე თვითმფრინავით დაბრუნდა ბერლინში და თავისი ცნობილი კადრი უკვე გაზეთ „პრავდის“ ნომერში დაბეჭდილი ჩაიტანა.[6] რეალურად, მხოლოდ 2 მაისს შეძლო ეგოროვ-ქანთარიას გმირულმა დუომ გამარჯვების დროშის გუმბათზე გადატანა, როდესაც რაიხსტაგში ბრძოლები შეწყდა. აშკარა სიყალბის მიუხედავად, ვიქტორ ტიომინის ნამუშევარმა სახელწოდებით „გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე 1945 წლის 1 მაისის ბერლინში“ პოპულარობა მოიხვეჭა. შემდეგ ჯილდოებიც მიიღო როგორც სამ-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

შობლოში, ისე საზღვარგარეთ. რაიხსტაგის ყველა დანარჩენი ფოტო 2 მაისს ან უფრო გვიანაა გადაღებული.

2. ხალდეის „ბამარჯვების დროშა“

ფოტოხელოვნების კლასიკად ქცეული მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კადრი ტასს-ის ფოტოკორესპონდენტმა ევგენი ხალდეიმ გადაიღო 1945 წლის 2 მაისს. მას სურდა განსაკუთრებით ეფექტური საფინალო კადრის შექმნა, რომელიც ისტორიულად დააგვირგვინებდა მეორე მსოფლიო ომს.

ბერლინში გაფრენამდე, ხალდეიმ სამი დროშა საკუთარი ინიციატივით დაამზადებინა ნაცნობ თერძს, თავის შორეულ ნათესავს – იზრაილ კიშიცერს სასადილო „ფოტოქრონიკაში“ არსებული მაგიდის წითელი გადასაფარებლისგან,[9] რომელიც მას სამეურნეო ნაწილის გამგემ, გრიგორი ლიუბინსკიმ დაუნანებლად აჩუქა. ამ სამიდან ერთი დროშა აეროდრომ ტემპელგოფის სახურავზე დაამაგრა, მეორე ბრანდენბურგის კარიბჭის თავზე მდგარ ეტლზე, ხოლო მესამე რაიხსტაგის სახურავზე ფოტომონტაჟისთვის გამოიყენა. ხალდეიმ გონივრულად განჭვრიტა, ომის ქარცეცხლში გამოვლილი დროშებიდან მთელი და სუფთა ადგილზე რომ ვერცერთი დახვდებოდა. უკვდავი ფოტოს გადაღების ამბიციით შეპყრობილ პროფესიონალს კი ეფექტური ბაირაღი დასჭირდებოდა ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელებისთვის.

როდესაც ე.ა. ხალდეი ადგილზე ჩავიდა, რაიხსტაგი აღებული და წითელი დროშებით დახუნძლული დახვდა ისევე, როგორც ბრანდენბურგის კარიბჭე და ბერლინის ბევრი სხვა შენობაც. სამხედრო კორესპონდენტმა რამდენიმე ადგილას მოაწყო დროშის აღმართვის ინსცენირება

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

და ათეულობით ფოტოდან ერთი, საყოველთაოდ ცნობილი შეარჩია დასაბეჭდად. წითელი დროშა დანგრეული ბერლინის ფონზე ნამდვილად ეპოქალურ კადრად შემორჩა მსოფლიო ისტორიას. გონივრულად დაგეგმილი და პროფესიონალურად შესრულებული ეს მხატვრული ფოტო დიდებული გამოვიდა, მაგრამ იგი ისტორიულ რეალობას არ ასახავს: მე-8 გვარდიის სამხედრო ნაწილები, რომელთა წევრებიც ფოტოზე არიან აღბეჭდილნი, რაიხსტაგის აღებაში არ მონაწილეობდნენ.[14] გამარჯვების დროშის აღმართვის მომენტში ისინი ბრანდენბურგის კარიბჭესთან იმყოფებოდნენ. დროთა განმავლობაში შეუმჩნევლად დაედო ერთმანეთს ორი ფაქტი: გამარჯვების დროშის 30 აპრილის ღამით აღმართვა და 2 მაისს გადაღებული ხალდეის დადგმული ფოტო, რომელიც ჟურნალ „ოგონიოკში“ დაიბეჭდა 1945 წლის 13 მაისს[19] და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ძნელია დარწმუნებით იმის თქმა, პირველად ვინ უწოდა სხვა დროშას გამარჯვების. არსებობს დოკუმენტირებული რამდენიმე ფაქტი ამის თაობაზე. სამამულო ომში გამარჯვების 20-წლისთავთან დაკავშირებით, 1965 წლის მაისში ჟურნალ „საბჭოთა ფოტოს“ ყდაზე დაიბეჭდა ევგენი ხალდეის უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფოტო წარწერით „გამარჯვების დროშის აღმართვა დამარცხებულ რაიხსტაგზე“.[26] 175-ათასიანი ტირაჟის მქონე გამოცემამ მინიმუმ ორი ამდენი ადამიანის თავში დააკავშირა ხალდეის დროშა ეგოროვ-ქანთარიას გამარჯვების დროშასთან. 1986 წელს „ახალგაზრდა კომუნისტი“ წერდა, რომ ევგენი ხალდეის მიერ გადაღებული ფოტოები „გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე“ და „კომუნისტებო, წინ!“ თავიდანვე ჩაფიქრებული იყო და გამოიყენეს კიდეც, როგორც დოკუმენტური მასალა რეპორტაჟისთვის.[15] ვიწრო წრემ იცოდა სიმართლე და ამის წყალობით შემოინახა

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ისტორიამ სინამდვილე, რომელიც 1960-იანი წლებიდან მოყოლებული აღარც საბჭოთა ხელისუფლებას აწყობდა და აღარც მასებს აინტერესებდათ. ასეთ დეტალებს ძალიან მცირე რაოდენობის მეცნიერი და პრინციპული სამხედრო თუ აზუსტებს მხოლოდ.

თავად ხალდეის მოგონებაში დეტალურად არის აღწერილი მრავალ პოზაში გადაღების პროცესი და მასში მონაწილეები: ფოტოზე დროშას ამაგრებს კიეველი ალექსეი კოვალიოვი, მას ეხმარება დაღესტნელი აბდულჰაკიმ ისმაილოვი, რომლის უკანაც იარაღით ხელში დგას მინსკელი ლეონიდ გორიჩევი.[14]

შავთეთრი ფოტო სიმკვეთრით არ გამოირჩევა, მაგრამ მელიტონ ქანთარიასა და მიხეილ ეგოროვის სახე ვინც იცის, ერთი შეხედვითაც ნათელია, ამ პოპულარულ ფოტოზე ისინი რომ არ არიან გამოსახულნი. იოლად თვალშისაცემია კიდევ ორი უზუსტობაც:

1. ნამდვილი გმირებიდან ვერცერთს ეხურებოდა მეთაურის ქუდი, რომელსაც ისმაილოვი ატარებდა;
2. ფოტო რაიხსტაგის ქონგურს ასახავს, გუმბათს კი არა.

როგორც ჩანს, დეტალებზე დაკვირვებას სიცრუის თქმა ერჩია ზოგიერთს. ევგენი ხალდეის მსოფლიო სიმბოლოდ გადაქცეულ გამარჯვების ფოტოზე ეგზოტიკურ ლარნაკზე ამაგრებენ დროშას მეომრები, რომლებიც რაიხსტაგის შტურმის დროს წინა ხაზზეც კი არ იმყოფებოდნენ და ტასს-ის ფოტოკორესპონდენტმა ბრძოლების დამთავრების შემდეგ, ისინი შემთხვევით შეარჩია გადაღებისთვის. ხალდეის ფოტოპერსონაჟები (კოვალიოვი, ისმაილოვი და გორიჩევი) მილიონობით ადამიანს ჰგონია ეგოროვი, ქანთარია და ბერესტი. დღემდე შეცდომით ან,

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

უბრალოდ, უკომენტაროდ იბეჭდება ხოლმე ეს ცნობილი ფოტო მედიასაშუალებებში.

„შავი პიარი“ ყველა დროში გაცილებით მომგებიანად ვრცელდება, ვიდრე სიმართლე. თუმცა, სიყალბესაც სჭირდება გარკვეული თავსებადობა ჭეშმარიტებასთან. ცნობილი იყო, რომ დროშა ორმა გმირმა აიტანა რაიხსტაგის გუმბათზე, ხალდეის ფოტოზე კი სამი ადამიანი იდგა. სავარაუდოდ, სიცრუის სიმართლედ გასაღების მცდელობის გამო ამოშალეს გორიჩევი. თუმცა, სამკაციანი ფოტო იმდენად ფართოდ გავრცელდა, სიტყვიერ ახსნას მაინც საჭიროებდა. ასე გაჩნდა შეთქმულების თეორია, თითქოს, ბერესტი (იგულისხმებოდა, ხალდეის ფოტოდან წაშლილი გორიჩევი) ხელისუფლების სურვილით გააქრეს.

ამ ტყუილს მოგვიანებით ახალი სიცრუე დაემატა, რომ ფოტოდან მეომრის გაქრობის მიზეზი აეხსნა. შესაბამისად, გმირობის ვითომ არჩამდენი ქანთარიასა და ეგოროვის თანაბრად, ლაფი უკვე ბერესტსაც გადაასხეს, რომელიც სხვადასხვა უკანონობაში ამხილეს, ციხეშიც ჩასვეს და საბჭოთა სისტემისთვის არასასურველ პირად გამოაცხადეს დროშასთან დაკავშირებული სიყალბის ავტორებმა. ბერესტის რეაბილიტაციას[5] მისი თანამემამულეები ისევე ცდილობენ, როგორც ჩვენ – მელიტონ ქანთარიას სიმართლის დაცვას.

კარგა ხანია, ყველაფერს ზუსტი სახელი უნდა დარქმეოდა, მაგრამ გვიანი არასდროსაა. მხოლოდ ეგოროვ-ქანთარიას მიერ რაიხსტაგის გუმბათზე მიმაგრებულს უნდა ეწოდოს „გამარჯვების დროშა“, ხოლო ხალდეის მიერ შექმნილ ფოტოდადგმას კი დაუბრუნდეს მისი ნამდვილი სახელი – „წითელი დროშა რაიხსტაგზე“. ერთი გმირობის ნიმუშია, მეორე კი ფოტოხელოვნების და ორივე თავ-თავის ადგილზე საუკეთესოა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მზვერავების მიერ გუმბათზე მიმაგრებული დროშა არც ისე ეფექტური გამოუვიდა ანატოლი მოროზოვს, რადგან სივრცისა და სიმაღლის კადრში მოქცევა ვერ მოახერხა. ამიტომ არ ტოვებს მისი გადაღებული კადრები გამარჯვების პომპეზურ შთაბეჭდილებას. ალბათ, ამავე მიზეზით ვერ მიიპყრო მსოფლიო მოსახლეობის უმეტესობის ყურადღება. სამაგიეროდ, მოროზოვმა ნამდვილი გამარჯვების დროშით ხელში ეგოროვი და ქანთარია დააფიქსირა რაიხსტაგზე.

საინტერესო ფაქტია, რომ ხალდეის მიერ ორგანიზებული გადაღების ერთ-ერთ მონაწილეს, მეთაურ აბდულჰაკიმ ისმაილოვს 1996 წელს რუსეთის გმირობა მიენიჭა ტასს-ის ფოტოკორესპონდენტის ფოტოზე პოზირებისათვის.[14] ეს სწორედ ის სამხედროქუდიანი მეომარია, რომლის მარჯვენა მკლავიდანაც ფოტორეტუშირებით გააქრეს მეორე „საათი“. სადაც სამართალია, მედალი ფოტოკორესპონდენტს ეკუთვნოდა, რომელმაც საკულტო კადრი შექმნა ისე დამაჯერებლად, რომ დღემდე მილიონები ტყუვდებიან და მისი ავთენტურობა სწამთ. თუმცა, არც მას დაჰკლებია ხოტბა და ჯილდოები. 1995 წელს ევგენი ხალდეი ფოტოჟურნალისტიკის საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს საფრანგეთის ქალაქ პერპინიანში, სადაც ხელოვნებისა და ლიტერატურის რაინდის ორდენის კავალერობა მიენიჭა გადამწვარი რაიხსტაგის სახურავზე მის მიერ გადაღებული ფოტომონტაჟისათვის.[20] ევგენი ხალდეი, როგორც სამხედრო ფოტოკორესპონდენტი, ნებისმიერ შემთხვევაში გამორჩეული პროფესიონალი იყო და ყველანაირად იმსახურებდა განსაკუთრებულ ჯილდოებს თუნდაც იმის გამო, რომ სწორედ მან გადაიღო 1941 წლის 22 ივნისს სამამულო ომის თემაზე პირველი კადრები და მისივე ფოტოებმა დააგვირგვინა მეორე მსოფლიო ომი 1945 წლის 24 ივნისს, როდესაც ხალდეიმ

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

თეთრ ცხენზე ამხედრებული მარშალი ჟუკოვი მოაქცია თავის ობიექტივში გამარჯვების პარადის მიღებისას.[20]

3. სოროკინის „შვიდკაცა“

ცხადია, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება ისეთი მასშტაბური მოვლენა იყო, რომ მრავალი კორესპონდენტი იღებდა ფოტოს, ტიომინისა და ხალდეის გარდა.[32] ერთ-ერთი გამორჩეულად ცნობილი ფოტო, რომელზეც აფრიალებული დროშით რაიხსტაგის შტურმს ახორციელებს სოროკინის მზვერავთა შვიდკაციანი ჯგუფი, დროშით ხელში გრიგორი ბულატოვთან ერთად, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტის, ივანე შაგინის მიერაა დადგმული და გადაღებული 1945 წლის მაისში. შესაბამისად, მასზე კადრისთვის შერჩეული მებრძოლები არიან გამოსახულნი კაპიტულაციის შემდეგ და არა – რაიხსტაგზე შეტევის მომენტში,[18] როგორც მრავალს ჰგონია.

იმ ფაქტმა, რომ ლეინტენანტ სემიონ სოროკინის (1922-1994) ჯგუფი ფოტოკორესპონდენტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ეს მებრძოლები ოსტატურად პოზირებასაც მიაჩვია. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით დასამახსოვრებელია შტურმის მონაწილის მიერ გაცოცხლებული ისტორია პროფესიონალი ფოტოკორესპონდენტის ოსტატობის შემთხვევაში. ივანე შაგინის გარდა, სოროკინის მზვერავები იაკობ რიუმკინმა და ალექსანდრე კაპუსტიანსკიმაც მრავალჯერ გადაიღეს „ისტორიულად“ დადგმულ კადრებში, რომლებიც ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. ამან მებრძოლები უზომოდ პოპულარული გახადა და მათ სახეებს მილიონები ცნობდნენ.

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რიუმკინის ფოტოზე სოროკინის ჯგუფი რაიხსტაგზეა გადაღებული დროშასთან და ს. ა. ნეუსტროევთან ერთად. კაპუსტიანსკიმ ეს მზვერავები ახლო ხედიდან გადაიღო, წინა პლანზე ახალგაზრდა მებრძოლი ბულატოვია. არსებობს ფრონტული ლეგენდა, რომლის თანახმადაც, 30 აპრილს 14:25 საათზე გერმანული მატრასისგან შეკერილი წითელი დროშა სწორედ ამ ჯგუფმა აღმართა ქანდაკებაზე „გერმანია“.[20] მართალია, ფაქტებით ეს არ დასტურდება, მაგრამ საინტერესოა, რომ მაკოვის[34] ჯგუფსაც გამოუჩნდნენ კონკურენტები და მათაც არ აკლიათ თანამედროვე გულშემატკივრები, „დამსახურებულ“ ჯილდოს რომ ითხოვენ წარსულში „დაჩაგრული“ გმირებისათვის. ამაზე იტყვიან, ქურდის ქურდი ცხონდაო.

4. შტურმზე დაგვიანებულები

თვალსაჩინოებისათვის, თუ რა სტილის გამიზნულ სიცრუესთან უწევდათ რაიხსტაგზე სახელმწიფო დროშის აღმმართველ გმირებს გამკლავება სიცოცხლეში და რაგვარი ტყუილის საფუძველზე ილახება მათი ხსოვნა დღეს, მნიშვნელოვანია რუსი მწერლისა და პუბლიცისტის, სერგეი ბაიმუხამეტოვის ცნობა.[4] იგი გვარების დაუსახელებლად იხსენებს 47-ე არმიის კაპიტან ფ-სა და უფროს სერჟანტ ი-ს, რომლებიც ბერლინში 1945 წლის 8 მაისს ჩავიდნენ არმიის გაზეთის თანამშრომელთან ერთად, რაღაც დროშა აღმართეს და მის ფონზე ფოტო გადააღებინეს. ეს კადრი არმიის გაზეთში დაიბეჭდა წარწერით „კაპიტანი ფ. და უფროსი სერჟანტი ი. რაიხსტაგზე აღმართავენ დროშას“. მათი საქციელი სამახსოვრო ფოტოს გადაღებას უფრო ჰგავდა და არავინ გამოჰკიდებია, მაგრამ 10-12 წლის შემდეგ ეს ამბავი საფუძვლად დაედო უსაფუძვლო პრეტენზიებს: „ჩვენ 8 მაისის საღამოს დროშა

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აღვმართეთ, ხოლო 9-ში ომი დასრულდა... ჩემსას მივაღწევ... ეგოროვსა და ქანთარიას ნიღაბს ჩამოვხსნი“.[4] ამ ადამიანს საერთოდ არ მიაჩნდა ანგარიშის გასაწევად 30 აპრილის გვიან ღამით რაიხსტაგის სახურავზე, ჯვარედინი ცეცხლის მიუხედავად, გაბედულად ასული მედროშეების მიერ ოფიციალური ბრძანების თანახმად აღმართული სახელმწიფო დროშა. არც ჯერ კიდევ შტურმის პარალელურად რაიხსტაგის სხვადასხვა ალაგზე მიმაგრებულ წითელ დროშებს თვლიდა საკუთარ წინამორბედებად.

კაპიტან ფ-ს უსინდისობა აშკარა ხდება მისი ამბის მოსმენის შემდეგ, მაგრამ ნამდვილი გმირებისთვის სავალალოდ, საზოგადოების სკანდალზე გაფაციცებულ ნაწილს საქმის არსში ჩაწვდომა არ აინტერესებს. უმეტესობას მეხსიერებაში სტერეოტიპულად ელექებოდა მომხდარის ზოგადი არსი, რომ ვიღაც ედავებოდა ოფიციალურ გმირებს. არადა, რამდენ ფრონტზე უნდა ეომათ ეგოროვსა და ქანთარიას, თანაც – მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ათწლეულების შემდეგ? მათ საკუთარი თავისა და საქციელის პიარიც კი არ სიამოვნებდათ, რადგან უფრო საქმის კაცები იყვნენ და არა – წლების წინათ გაკეთებულზე საუბრის. ღირსეული ოპონენტები აღნიშნავენ, რომ მზვერავებმა სიმართლე ღიად დააფიქსირეს[8] და თუ ამის იგნორირება აწყობდათ სხვებს, ეგოროვსა და ქანთარიას არ უნდა მოეკითხოთ.

5. მოროზოვის არქივი

რაც შეეხება ნამდვილი გმირების ფოტოებს გამარჯვების დროშის ორიგინალით, ისინიც ბრძოლების დამთავრების შემდეგ გადაიღეს. გაზეთ „სამშობლოს მეომრის“ სამხედრო კორესპონდენტ ვ. ე. სუბოტინს გერმანელების კაპიტულაციიდან სულ მალე უამბობდა მელიტონ

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ქანთარია: „ათი დღე არ გვეძინა. ათი დღე-ღამე. რა თქმა უნდა, ფეხზე ვეღარ ვიდექით ვერცერთი. დაძაბულობის წყალობით ვუძლებდით და კიდევ, კონიაკისა და სპირტიანი სასმელის (კიდევ კარგი, გერმანელები თავშენახული ხალხი გამოდგა)... ამიტომ ორში შუადღეზე, როდესაც ბერლინი დაეცა, როდესაც სიჩუმემ დაისადგურა, არაფერი დაგვითვალიერებია, ბრანდენბურგის კარიბჭესთანაც კი არ მივსულვართ... გვეძინა! ყველას ეძინა – ჯარისკაცებსაც და მეთაურებსაც. აქვე, რაიხსტაგის ჩრდილში. გათიშულებს გვეძინა. პირდაპირ მოედანზე. ერთმანეთზე თავმიდებულებს. გაუღვიძებლად. მთელი დღე“.[28]

ბატალიონის მეთაურის, ნეუსტროევის დახმარებით იპოვა უფროსმა ლეინტენანტმა, ფოტოკორესპონდენტმა ანატოლი მოროზოვმა რაიხსტაგის მიწისქვეშეთის სიგრილეში ჩაძინებულები ეგოროვი და ქანთარია. მოროზოვს მედროშეების გადაღება შეიარაღებული ძალების მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ (ГлавПУР)[16] დაავალა ტელეგრამით. ბერესტის მოძებნა ვერ შეძლეს.

ბრძოლით გადაქანცული და ჯერაც გამოუძინებელი ორი მზვერავი ფოტოგრაფმა რაიხსტაგის სახურავზე აიყვანა, ვილჰელმ II-ის ქანდაკებიდან გამარჯვების დროშა მოახსნევინა და ჯერ იქვე, მერე სართულიდან სართულზე და ზემოთ-ქვემოთ კიბეებზე დიდხანს ატარა პოზირების მიზნით. მთელი სერია გამოვიდა, რომლის ფირიც მოსკოვში გაიგზავნა და 3 მაისს ყველა საბჭოთა გაზეთმა გამოაქვეყნა ისტორიული კადრები. სიუჟეტური დადგმის მხრივ, ისინი ნაკლებად ეფექტურია, ხალდეისა და ტიომინის ოსტატურ ფოტოებთან შედარებით. სამაგიეროდ, გამარჯვების ნამდვილ მედროშეებს ასახავს. მოროზოვს არც ცეცხლი მიუხატავს, არც კვამლი და არც სხვა მსგავსი. თუნდაც მხოლოდ ეს ხდის მის მიერ გადა-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ღებულ ფოტოებს ისტორიულად ძვირფასსა და მნიშვნელოვანს.

ლიტერატურა ▫ References

1. Nadare, Maia (2020). The Georgian Symbol of WWII Victory. BRAMS 1(30), 71-91.
2. *Антология советской фотографии: 1941-1945* (1986), Том 2, редактор — Л. Ильина-Козловская, Москва: «Планета».
3. Баймухаметов Сергей (6 мая 2020), *Как штурмовали Рейхстаг. Егоров и Кантария: «Мы рассчитывали только на смерть»*, газ. «Московская правда».
4. Баймухаметов Сергей (7 мая 2019), *Почему нас совсем забывают?*, газ. «Новая газета».
5. Бондаренко И. М. (1976), *Березовый сок* (рассказы), Ростов-на-Дону: «Ростиздат» (*Судьба Алексея Береста*). // Бондаренко И. М. (1975), *Нам дороги эти позабыть нельзя: очерки, воспоминания*, Ростов-на-Дону (*Он штурмовал рейхстаг (об А. Бересте)*. // Бондаренко И. М. (1980), *Еще одна солдатская судьба* (об участнике штурма рейхстага А.П. Бересте), ж. «Дон», N6, стр. 133.
6. Вартанов А., Суслов О., Чудаков Г., Ухтомская Л., Фомин А., Оганов Г. (1986), *Антология советской фотографии. 1941-1945*, Москва: «Планета», Том 2, стр. 6 (Вартанов Анри, *Фотопублицисты Великой Отечественной войны*).
7. Долматовский Е. А. (1972), *Автографы Победы*, Москва: изд-во «ДОСААФ».
8. Егоров М. А., Кантария М. В. (1975), *Знамя Победы: Бой первый – бой последний*, лит. запись Б. Данюшевского, Москва: «Молодая Гвардия».
9. *Журналисты XX века: Люди и судьбы* (2003), Коллектив авторов, Москва: изд-во «ОЛМА-ПРЕСС» (Аранович Н. С., *Остановись, мгновенье... Халдей Е. А.*, стр. 222-229). ISBN: 5-224-04074-4
10. Зинченко Ф. М. (1983), *Герои штурмуют Рейхстаг*, Москва: «Воениздат».
11. *История второй мировой войны 1939-1945* (1979), том 10, Москва: «Воениздат».
12. Клочков И. Ф. (2000), *Знамя Победы над рейхстагом*, Санкт-Петербург: «Пальмира», стр. 176-177.
13. Клочков И. Ф. (1986), *Мы штурмовали рейхстаг*, Ленинград: «Лениздат», стр. 145 (*Красное знамя над рейхстагом*).

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

14. Ключ Вениамин (30 апреля 2012), 30 апреля 1945 года. Знамя Победы над Рейхстагом, «Военное обозрение» [topwar.ru].
15. Коваленко Л. (1986), *Фотоискусство: Традиция и эксперимент* // ж. «Молодой коммунист», N3, с. 100, Москва: изд-во «Молодая гвардия».
16. Млечин Леонид (05.10.2020), *А что думает ГлавПУР?*, ж. «Огонёк», N39, стр. 28.
17. *Мифы о знамени победы* (10 Мая 2014), Невероятно info [neveroyatno.info/news/mify_o_znameni_pobedy/2014-05-10-2284]
18. Никонов В. Н. (30.04.2020), *«Двадцать восемь мгновений весны 1945-го». Мгновение 19. Знамя Победы* [28.russkiymir.ru/m19].
19. Ж. «Огонёк», N19 (938), 13 мая 1945 года, стр. 1.
20. Пономаренко Анатолий (10 мая 2014), *Мифы о знамени победы*, «Невероятно» [neveroyatno.info].
21. Рабинович И. Б. (2004), *Красные знамена над Берлином*, Ярославль: изд-во «Рыбинск-Михайлов посад». ISBN: 5-901470-13-1
22. Сапрыков В. Н. (2008), *Дважды победное*, Москва: «Московские учебники – СиДипресс», стр. 33 [biblio.nhat-nam.ru/Pobednoe.pdf]
23. Сапрыков В. Н. Указ. соч., стр. 34.
24. Сапрыков В. Н. (1 сентября 2020), *Парад возле стен Рейхстага*, газ. «Российская газета», N9 (920).
25. Стариков Евгений (9 мая 2015), *Знамен над рейхстагом было много, но историей стало одно*, газ. «Наша Победа».
26. Ж. «Советское фото», Май 1965, главный редактор М. И. Бураева.
27. Субботин В. Е. (5 мая 1945 год), *Знамя победы над Берлином водружено*, газ. «Воин Родины», стр. 2.
28. Субботин В. Е. (1968), *Как кончаются войны*, Москва: «Воениздат».
29. Шатилов В. М. (1985), *В боях рожденное Знамя*, Москва: «Советская Россия».
30. Ямской Н. П. (2006), *Кто Брал Рейхстаг. Герои по умолчанию...*, Москва: изд-во «ОЛМА-ПРЕСС». ISBN 5-224-05553-9
31. Cooper, Sarah (16 May 2017), *5 Most Iconic War Photographs of All Time*, War History Online.
32. Jahn, Peter (2005), *Triumph und Trauma: Sowjetische und Postsowjetische errinerung an der Krieg 1941-1945*, Berlink-Karlshorst: Ch. Links Verlag. ISBN 3-8615-3356-1 (ტრიუმფი და ტრავმა: 1941-1945 წლების ომის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მოგონებები, გერმანულ ენაზე).

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)